

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“  
თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში  
შექმნილი საჩივრების განმხილველი კომისია

გადაწყვეტილება #5

1 მარტი, 2019 წელი

საქმე: ხათუნა შუმანიძის სიუჟეტი ბათუმის განაშენიანებაზე და  
„სილქ როუდ ჯგუფის“ საპასუხო განცხადება

კომისიის თავმჯდომარე: თამარ მამეიშვილი

კომისიის წევრები: მედეა ჩარკვიანი, თამაზ ბაკურიძე

მოპასუხე: ჟურნალისტი ხათუნა შუმანიძე

განმარტება: მეორე მხარეს საჩივარი არ წარმოდგენია საჩივრების განმხილველ კომისიაში, თუმცა მაუწყებელმა თავისი ინიციატივით გადაწყვიტა შეესწავლა საკითხი, მას შემდეგ, რაც „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფმა“, სიუჟეტის საპასუხოდ, საჯარო განცხადება გაავრცელა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2019 წლის 12 იანვარს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო ეთერში, გადაცემა „მთავარი აჭარაში“, გავიდა რეპორტაჟი ბათუმის განაშენიანების შესახებ (<https://www.facebook.com/watch/?v=598289937296896>), რომელშიც საუბარია „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფის“ მიერ ბათუმში, ე.წ. „რივიერას“ ტერიტორიაზე დაგეგმილი სამშენებლო პროექტის შესახებ. სიუჟეტი შეიცავს პროექტის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებს, საჯარო მოხელეების კომენტარებს, ინფორმაციას კომპანიის წარსულ საქმიანობაზე, განხორციელებულ და განუხორციელებელ პროექტებზე.

სიუჟეტის ავტორია ანალიტიკური ჯგუფის ჟურნალისტი, ხათუნა შუმანიძე.

აღნიშნული რეპორტაჟის საპასუხოდ, 2019 წლის 15 იანვარს „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფმა“, სხვადასხვა მედია საშუალებებში, გაავრცელა განცხადება, რომლითაც უარყოფდა სიუჟეტში მოყვანილ ფაქტებს, ასახელებდა საწინააღმდეგო არგუმენტებს და მაუწყებლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უწოდებდა ცილისმწამებლურს.

ამ საკითხზე „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფს“ თვითონ არ მოუმართავს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის“, რათა საკითხი თვითრეგულირების

მექანიზმის ფარგლებში ყოფილიყო შესწავლილი, თუმცა, მაუწყებლის ინიციატივით, კომისია მაინც შეიკრიბა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი სტანდარტებით განიხილა აღნიშნული საქმე.

კომისიის პირველი სხდომა ჩატარდა 7 თებერვალს, სადაც კომისიის წევრები გაეცნენ საქმის მასალებს. მანამდე, მაუწყებელმა „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფს“ შეატყობინა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში კომისიის შექმნის შესახებ და სთხოვა საკუთარი პოზიციის/არგუმენტების წარმოდგენა. აღნიშნული წერილი კომპანიას 2019 წლის 31 იანვარს ჩაბარდა, თუმცა კომისიის სხდომის თარიღისათვის დაინტერესებული პირის - „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფის“ მიერ საპასუხო წერილი არ იყო წარმოდგენილი. ამის გამო კიდევ ერთი სხდომა ჩაინიშნა.

მეორე სხდომა 14 თებერვალს ჩატარდა. კომპანიის მიერ საპასუხო წერილი მაუწყებლის მიმართვაზე არც ამ დროისთვის იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული წერილის ჩაბარებიდან (31/01/2019) გასული იყო საპასუხო პოზიციის წარმოდგენის ვადა, ამასთან, კომისიის სხდომის გამართვის თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდა საჯაროდ, მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. კომისიამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკითხის განხილვის ვადის განმეორებით გაგრძელება და გადაწყვიტა დაინტერესებული პირის მონაწილეობის/პოზიციის არარსებობის მიუხედავად განეხილა საკითხი.

შექმნილ ვითარებაში კომისიამ კომპანიის მიერ გავრცელებული განცხადებით და სიუჟეტის ავტორის, ხათუნა შუმანიძისგან მიღებული ინფორმაციით იხელმძღვანელა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

„სილქ როუდ ჯგუფის“ გავრცელებულ წერილში აღნიშნულია, რომ სიუჟეტი შეიცავს კომპანიისა და მისი დამფუძნებლის, გიორგი რამიშვილის მიმართ ცილისმწამებლურ განცხადებებს და არაერთ მცდარ ფაქტს. განცხადებაში ამის დასტურად რამდენიმე ფაქტია წარმოდგენილი, რომლებიც კომისიამ თანმიმდევრობით განიხილა და საპასუხო არგუმენტები ჟურნალისტიდანაც მოისმინა.

### **პირველი:**

ჟურნალისტი თავის ტექსტში ამბობს, რომ „რივიერას“ ტერიტორია „სილქ როუდ ჯგუფმა, 2006 წელს საქართველოს შემოსავლების სამსახურისგან უპირობოდ შეიძინა“. ამ ნაწილთან დაკავშირებით კომპანიის გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მათ ქონება უპირობოდ არ შეუძენიათ და ეს არის „საზოგადოების შეცდომაში განზრახ შეყვანის მცდელობა“. ამის დასასაბუთებლად კი ნათქვამია, რომ კომპანიამ "რივიერას" ტერიტორია 2006 წელს საგადასახადო ორგანოს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე შეიძინა და სახელმწიფოს 10,086,000 ლარი (რაც იმ დროისთვის მოქმედი კურსით 5.6 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი იყო) გადაუხადა, ასევე გაისტუმრა სახელმწიფოს 2 კრედიტორი (2,5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი).

საპასუხოდ ჟურნალისტი ამბობს, რომ მას არ უხსენებია სიტყვები – უანგაროდ, უფასოდ ან იაფად. მისი განმარტებით, სიტყვა „უპირობოში“ ჟურნალისტი გულისხმობდა უპირობო აუქციონს (აუქციონი შეიძლება იყოს როგორც უპირობო, ასევე პირობიანი) და ამ შემთხვევაშიც, 2006 წლის აუქციონი, რომელზეც კომპანიის განცხადებაშია აღნიშნული, უპირობოდ ჩატარდა. ამას ადასტურებს სიუჟეტის ერთ–ერთი რესპოდენტიც, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელმწიფო მონიტორინგი დეპარტამენტის უფროსი – გელა ცინცაძეც, რომელიც თავის სინქრონში კომპანიასთან მიმართებით ამბობს: „შესაბამისად, იყო აბსოლუტურად თავისუფალი, მის ნებაზე, თუ როდის დაიწყებდა სამშენებლო სამუშაოებს. იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის ქალაქის ცენტრალური ნაწილი და შესაბამისად საჭიროა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ამ მიზნებიდან გამომდინარე, აიღო კომპანიამ ვალდებულება (მოგვიანებით), სამინისტროსთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, რომ დაეწყო სამშენებლო სამუშაოები მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე“.

კომისიის შეკითხვაზე, თუ რატომ არ ახსენებს სიუჟეტში სიტყვა აუქციონს, ჟურნალისტი პასუხობს, რომ მსგავსი ფაქტების გაშუქებისას უკვე აპრობირებულია მხოლოდ სიტყვა „პირობით“ ან „უპირობოდ“ ხსენება, რადგან ვიცით, რომ სახელმწიფო ქონება ასე სხვისდება.

ამ ნაწილში კომისია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტს სიზუსტის პრინციპი არ დაურღვევია და მითუმეტეს, განზრახ არ შეუყვანია აუდიტორია შეცდომაში. თუმცა, უმჯობესი იქნებოდა სიუჟეტის ტექსტში უფრო ნათლად ყოფილიყო მითითებული, თუ რას გულისხმობდა ავტორი სიტყვაში – „უპირობო“.

## მეორე:

„სილქ როუდ ჯგუფის“ განცხადებაში წერია: „რაც შეეხება უსაფუძვლო ბრალდებას იმის შესახებ, თითქოს „სილქ როუდ ჯგუფმა“ აჭარის ა/რ მთავრობისგან შეიძინა ობიექტები და შემდგომში ისინი არ განავითარა, ან განცხადებას იმის შესახებ, რომ ჯგუფი უდიერად მოეპყრო დევნილებს – ეს ინფორმაცია მცდარია. ჩვენმა კომპანიამ აჭარის ა/რ მთავრობისგან საინვესტიციო პირობით შეიძინა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების – სს „აჭარის კურორტების“ და სს „მესხეთის“ – აქციები და შესაბამისად, მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები. ჩვენს მიერ სახელმწიფოს ბიუჯეტში გადახდილ იქნა 4 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა საკომპენსაციოდ გადახდილ იქნა 13,5 მილიონი აშშ დოლარი. ჩვენ ყველა იძულებით გადაადგილებული პირის ოჯახს გადავეცით კომპენსაცია, თუმცა, სილქ როუდ ჯგუფის მიერ ვინმეს გასახლება არ მომხდარა. ეს სახელმწიფოს ვალდებულება გახლდათ“.

სიუჟეტის ამ ნაწილში ჟურნალისტი აჩვენებს დევნილების გამოსახლების ემოციურ კადრებს არქივიდან და პარალელურად, ყვება ფაქტების შესახებ შემდეგი თანმიმდევრობით:

„დევნილების გამოსახლება 2005 წლის გაზაფხულიდან ეტაპობრივად განხორციელდა. ამ ქმედებას ამყარებდა ის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომელიც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და „სილქ როუდ ჯგუფის“ შვილობილ კომპანიას შორის 2015 წლის 14 თებერვალს გაფორმდა. შეთანხმების თანახმად, „სილქ როუდ ჯგუფმა“, რომლის ხელმძღვანელიც გიორგი რამიშვილი იყო, 30 ტურისტულ–რეკრეაციულ ტერიტორიასა და მასზე მიმაგრებულ შენობა–ნაგებობებში 17.5 მილიონი ამერიკული დოლარი გადაიხადა, რომელთაგან 13.5 მილიონი დევნილების საკომპენსაციო თანხა იყო, ხოლო 4 მილიონი ქონების საფასური... „მესხეთის“, „მედეასა“ და ბევრი სხვა ობიექტის აფეთქებით, რევოლუციით მოსული ხელისუფლება

ამტკიცებდა, რომ საბჭოეთი უკვე წარსულს ჩაბარდა და ე.წ. ყაზახური ინვესტიცია, ქვეყნის პრიორიტეტად გამოცხადებულ სფეროს, ტურიზმს, მხსნელად მოევლინა. ვალდებულებებით, პირველ ეტაპზე, 2007–08 წლისთვის, „მესხეთის“, „მედეასა“ და სანატორიუმ „ქობულეთის“ ადგილას ახალი სასტუმრო კომპლექსები უნდა აგებულიყო. მათგან კომპანიამ მხოლოდ „რედისონ ბლუ“ ააშენა“.

კომისია მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში „სილქ როუდ ჯგუფის“ განცხადებასა და სიუჟეტში მოყვანილ ფაქტებს შორის განსხვავება არ არის. ჟურნალისტი ტექსტში არსად მიუთითებს, რომ კომპანია დევნილებს უდიერად მოეპყრო, რეალურ ვიდეო კადრებს აჩვენებს და ამ ნაწილში უფრო ხელისუფლების როლს გამოკვეთავს. ასევე, ფაქტებით საუბრობს კომპანიის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებებზე და იმასაც მიუთითებს, რომ არებული ვალდებულებებიდან კომპანიამ მხოლოდ ერთი შეასრულა და სასტუმრო „რედისონ ბლუ“ ააშენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას მეტი განმარტების შესაძლებლობა ექნებოდა, თუკი ჟურნალისტის შეთავაზებას, კომენტარი გაეკეთებინა, დასთანხმდებოდა. სიუჟეტის ავტორი კომპანიის წარმომადგენელს ტელეფონითაც დაუკავშირდა და მოგვიანებით, ელექტრონული ფოსტითაც მისწერა, თუმცა „სილქ როუდ ჯგუფის“ წარმომადგენლები ამ შეთავაზებას არ გამოეხმაურნენ.

### **მესამე:**

სიუჟეტის შემდეგ ნაწილში რესპოდენტი ჩნდება, კახა გუჩმანიძე. იგი საუბრობს ბათუმში კომპანია „სილქ როუდ ჯგუფის“ წარსულ საქმიანობაზე, ახსენებს ყაზახულ ბანკში კომპანიის მიერ შეძენილი ქონების იპოთეკით დატვირთვის ფაქტს, ასევე, საუბრობს ამ ბანკის გაკოტრების შესახებ და ექვს, გამოთქვამს, რომ ადგილი ჰქონდა ფულის გათეთრებას.

„სილქ როუდ ჯგუფის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ამ ნაწილსაც გამოეხმაურნენ: „რაც შეეხება თქვენს სიუჟეტში ნახსენებ „ბტა ბანკს“ და აღნიშნულ ბანკთან დაკავშირებით ცილისმწამებლურ განცხადებებს, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ყაზახური ბტა ბანკის მფლობელები საქართველოში 2005 წელს ჩამოვიდნენ და სურვილი გამოთქვეს ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ „ბტა ბანკსა“ და „სილქ როუდ ჯგუფს“ შორის გაფორმდა შესაბამისი დაფინანსების ხელშეკრულებები, ბანკმა 2008 წლის ომის შემდგომ შეწყვიტა თავისი ვალდებულებების შესრულება“.

სიუჟეტის ავტორი განმარტავს, რომ ამ ნაწილში რესპოდენტის შერჩევას იხელმძღვანელა მისი წარსული საქმიანობიდან გამომდინარე. კახა გუჩმანიძე 2005–2007 წლებში აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს დევნილთა და განსახლების დეპარტამენტის უფროსი იყო და მისგან მიღებული ინფორმაციით, უშუალოდ იყო ჩართული კომპანია „სილქ როუდ ჯგუფთან“ დაკავშირებულ პროცესებში. თუმცა, ეს დეტალები სიუჟეტში არ არის აღნიშნული.

ამასთან დაკავშირებით კომისია მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი იყო სიუჟეტში საუბარი ყოფილიყო რესპოდენტის წარსულ საქმიანობაზე, ან ტიტრში მაინც ყოფილიყო ეს ინფორმაცია მითითებული, რათა მაყურებელს არ გასჩენოდა კითხვები რესპოდენტის ვალიდურობასთან დაკავშირებით. კომისიის ამ მოსაზრებას იზიარებს სიუჟეტის ავტორიც.

კიდევ ერთი შეკითხვა, რომელიც კომისიას ამ ნაწილთან დაკავშირებით ჟურნალისტთან აქვს, შეეხება იმას, რამდენად გადაამოწმა მან რესპოდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია – ბრალდება თაღლითურ გარიგებასა და ფულის გათეთრებაზე, სხვა წყაროებთან, მითუმეტეს, როცა საქმე ეხებოდა მძიმე ბრალდებას. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტი ამბობს, რომ მას

ინფორმაციის გადამოწმება „სილქ როუდ ჯგუფის“ წარმომადგენლებთან სურდა, თუმცა კომუნიკაციაზე უარი თავად კომპანიამ განაცხადა, როდესაც კომენტარის გაკეთება შესთავაზეს და მოგვიანებით ზოგადი ხასიათის შეკითხვებიც გაუგზავნეს. თუმცა, კონკრეტულად – თაღლითურ გარიგებაზე და ფულის გათეთრების ბრალდებაზე შეკითხვით სიუჟეტის ავტორს კომპანიისთვის არ მიუმართავს.

გარდა ამისა, კომისიისთვის საინტერესო იყო, ჰქონდა თუ არა ჟურნალისტს რესპოდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების სხვა მცდელობები. ჟურნალისტის კომენტარი ამასთან დაკავშირებით ასეთია: „კახა გუჩმაანიძის ნათქვამი „ფულის გათეთრებაზე“ იყო სერიოზული ინფორმაცია, რომელსაც ჟურნალისტი გვერდს ვერ აუვლიდა, ამას არ ვამბობდი მე, ამას ამბობს რესპოდენტი, რომელიც თავადაა პასუხიმგებელი თავის ნათქვამზე. ალტერნატიული წყარო ვინ იქნებოდა? ფინანსთა სამინისტრო ვერ ამბობდა ვერაფერს ამ გათეთრებაზე, ის კონკრეტულ ფაქტებს ასახელებს, სადაც საუბრობს, რომ ბანკი მალე გაკოტრდა“.

ამ ნაწილში კომისია მიიჩნევს, რომ ბრალდება თაღლითურ გარიგებასა და ფულის გათეთრებაზე იყო სერიოზული ბრალდება, მაგრამ ეს არ იყო სიუჟეტის მთავარი თემა (სიუჟეტი განაშენიანებაზე მომზადდა). ამ თემაზე ჟურნალისტს შეეძლო ცალკე სიუჟეტი მოემზადებინა და საკითხიც მეტად განვეითარებინა. რაკი ჟურნალისტმა გადაწყვიტა, მასალაში ეს აქცენტიც დაესვა, მნიშვნელოვანი იყო, სიუჟეტში ყოფილიყო სხვა, დამოუკიდებელი წყარო, რომელიც რესპოდენტის (კახა გუჩმაანიძის) ნათქვამს დაადასტურებდა. ასევე, ჟურნალისტს შეეძლო კონკრეტულად ამ ბრალდებაზე შეკითხვით მიემართა „სილქ როუდ ჯგუფისთვის“ და ვერ გამოვრიცხავთ, რომ კომპანიას ამ ნაწილში კომენტარის გაკეთების სურვილი გასჩენოდა. გარდა ამისა, მართალია, რესპოდენტი სიუჟეტში ბრალდებასთან დაკავშირებით ამბობს, რომ „ეს მხოლოდ ეჭვის დონეზეა“, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ჟურნალისტსაც აღენიშნა, რომ ეს ინფორმაცია დაუზუსტებელია.

კომისია მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში ჟურნალისტმა არ გაითვალისწინა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის „სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ“.

**მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლი („სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ“)** მიუთითებს, რომ:

14. 4. არსებული შესაძლებლობების ფარგლებში მაუწყებელი უნდა დაეყრდნოს პირველწყაროს და საკუთარი ძალისხმევით მოპოვებულ ინფორმაციას. როგორც წესი, მაუწყებელი არ უნდა დაეყრდნოს ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროს და სხვა წყაროებიდანაც უნდა მოიძიოს ინფორმაცია.

5. ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაუწყებელმა უნდა დააზუსტოს მისი წარმომავლობა და სიზუსტე. თუ შეუძლებელია ინფორმაციის სისწორის, უტყუარობისა და წარმომავლობის დაზუსტება, მაუწყებელმა უნდა აღნიშნოს, რომ ინფორმაცია დაუზუსტებელია.

#### **მეოთხე:**

კიდევ ერთი პასაჟი „სილქ როუდ ჯგუფის“ განცხადებიდან არის შემდეგი: „რაც შეეხება იპოთეკების შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოებას, გაურკვეველია რას ნიშნავს იპოთეკის გასაიდუმლოება, როდესაც იპოთეკის, ისევე, როგორც უძრავი ქონების შესახებ სხვა ინფორმაცია, საქართველოში საჯაროა და მის საჯაროობას უზრუნველყოფს საჯარო რეესტრი“.

სიუჟეტის ამ ნაწილში ტექსტი შემდეგი შინაარსისაა: „30 ტურისტული მნიშვნელობის ობიექტის იპოთეკით დატვირთვის უფლება გიორგი რამიშვილის კომპანიას გამყიდველი, ანუ ამ შემთხვევაში აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანხმობის გარეშე არ ჰქონდა. წლების განმავლობაში ამ ფაქტის გასაჯაროება არ ხდებოდა“.

სიუჟეტის ავტორი განმარტავს, რომ: „სიუჟეტში სიტყვა გასაიდუმლოება არ არის ნახსენები. არც კონტექსტშია ნათქვამი და არც ადრესატია კომპანია „სილქ როუდ ჯგუფი“. წლების განმავლობაში აღნიშნული მიწები იჯარით იყო გაცემული და ამ თემაზე ინფორმაციას სახელმწიფო სტრუქტურები არ ასაჯაროებდნენ. წლების განმავლობაში საზოგადოება კითხულობდა, თუ რატომ არ იწყებოდა მშენებლობა, რატომ არ კეთდებოდა არაფერი ძველი ნაგებობების დანგრევის შემდეგ?.. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, როგორც მხარეს, საზოგადოების ინტერესის მიუხედავად, არასოდეს უთქვამს, რომ ეს მიწები იპოთეკით იყო დატვირთული. სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ არ ასაჯაროებდა და გასაიდუმლოება აქ არაფერ შუაშია, ჩემი ტექსტის ადრესატები მაშინდელი სახელმწიფო სტრუქტურებია“.

ამ შემთხვევაშიც კომისია მიიჩნევს, რომ აქ არა სიზუსტის, არამედ უფრო ტექსტის მკაფიოობის პრობლემაა. უმჯობესია, სიუჟეტის ტექსტი მეტად ნათელი და ზუსტი იყო, მსგავსი ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილი კომისია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა ხათუნა შუშანიძემ, განაშენიანების შესახებ სიუჟეტის მომზადებისას, დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის („სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ“) მე-4 და მე-5 პუნქტები მხოლოდ ერთ ნაწილში, როდესაც რესპოდენტის (კახა გუჩმაანიძის) მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ გადაამოწმა სხვა წყაროებთან და ამის მიუხედავად, ეს ინფორმაცია მაინც გამოიყენა სიუჟეტში. ამასთან, თავის ტექსტში დაუზუსტებელი ინფორმაციის თაობაზეც არ მიუთითა.

### **კომისიის თავმჯდომარე:**

თამარ მამეიშვილი, ხელმოწერილია

### **კომისიის წევრები:**

მედეა ჩარკვიანი, ხელმოწერილია

თამაზ ბაკურიძე, ხელმოწერილია